ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№6, 24 ივნისი, ორშაბათი, 2019 წელი

ხვალ უკეთესი თაობა შეგვცვლის

ამოუწურავი და გაუხუნარია ქართველი და ებრაელი ერის 26 საუკუნოვანი მეგობრობის თემა. მღელვარე ემოციის გარეშე წარმოუდგენელია ამ, მსოფლიოსთვის გასაოცარი, ერთმანეთში ჩაწნულ-ჩაკირული ისტორიისთვის თვალის გადავლება, რომელსაც არაერთი საგალობელი მიეძღვნა ხელოვნებაში, ლიტერატურასა თუ ყოფით ცხოვრებაში. მწერალი გურამ ბათიაშვილი აღნიშნავს:

,,სამშობლოდან დევნილმა ებრაელებმა აი, ამ მიწაზე, აი, ამ მზის ქვეშ, აი, ამ ხალხში მოვიტანეთ მტრობით, სისხლისღვრით, სიცოცხლის წართმევის მუქარით აფორიაქებული სული. მტერი მოგვდევდა და თავშესაფარს ვეძებდით. სამშობლოწართმეულთ თვალთაგან ცრემლი გვდიოდა და ფეხთაგან – სისხლი. აქამდე მოვაღწიეთ და ქართველებმა მოგვცეს ის, რაც მთავარია ადამის ძისათვის – არსებობისა და შრომის უფლება."



როდესაც ჩვენი თანამემამულის, ღირსეული სურამელის, ხაშურის I საჯარო სკოლის დირექტორის მორის დანდურიშვილის ისტორიულ-დოკუმენტური ნაშრომი ,,26 საუკუნე" წავიკითხე, გული სიამაყით ამევსო, რადგან 2006 წელს გამოცემული ეს კრებული სურამელი ებრაელების მატიანეა, ქართულ-ებრაული ურთიერთობების ღრმად გამჯდარი ფესვების ერთ-ერთი ალაგი კი, ჩვენი დაბა სურამი გახლავთ.

,,ამ ხანგრძლივ და ისტორიული ქარტეხილებით აღსავსე პროცესში, საქართველოს მრავალ კუთხესთან ერთად, დაბა სურამმაც შეიტანა თავისი მოკრძალებული წვლილი. ჩვენი მიზანი სწორედ ამ წვლილის შეძლებისდაგვარად წარმოჩენაა, რათა დავიწყებას არ მიეცეს სურამელი ებრაელების ღვაწლი საქართველოს ისტორიაში." – აღნიშნავს ავტორი.

წიგნში მკითხველი გაეცნობა ,,ქართლის ცხოვრებიდან" კომპაქტურად ამოკრეფილ ისტორიულ ფრაგმენტებს, სადაც ებრაელების საქართველოსთან დამაკავშირებელი მოვლენებია აღწერილი. აგრეთვე, აქ, იმ ადამიანების გვარ-სახელებსაც გაეცნობით ქართველ-ებრაელთა თემიდან, ვინაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ხაშურისა და სურამის სინამდვილეში.

ჩემთვის განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო 80-იანი წლების ბოლოს, მრავალი წლის შემდეგ, საქართველოში ისრაელის დელეგაციის სტუმრობის ამსახველი მასალა. დელეგაციას გაზეთ ,,ალია საქართველოდან" გამომცემელი და მთავარი რედაქტორი, ისრაელში ,,რუსთაველის საზოგადოების" დამაარსებელი და ჩემი უცვლელი მასპინძელი, ბატონი აბრაამ საპირი-სეფიაშვილი ხელმძღვანელობდა. (მისი ხელშეწყობით სამჯერ ვეწვიე წმინდა მიწას, საიდანაც დაუვიწყარი მოგონებები გამომყვა). სურამში ებრაელებისათვის გამართულ ბრწყინვალე საზეიმო ღონისძიებაში,14 წლის გოგონა აქტიურად ვიყავი ჩართული, ხაშურისა და სურამის სხვა შემოქმედებით კოლექტივებთან ერთად.

მორის დანდურიშვილს ამ, მართლაც, საინტერესო ნაშრომს თბილისში ,,ებრაულმა სათემო სახლმა" უმასპინძლა და ბატონი ჯემალ აჯიაშვილის დამსახურებული შეფასებაც მიიღო.

წიგნის ,,26 საუკუნე" ავტორ-შემდგენელი მორის დანდურიშვილი ,,ლიტერატურული ხაშურის" სტუმარია.

– მორის, რამ შთაგაგონათ ამ წიგნის გამოცემა?

– სურამს ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ისტორია აქვს. ამ წიგნის გამოცემამდე ჩემი ორი წიგნი გამოვიდა სწორედ, სურამის ისტორიული წარსულის შესახებ, რომელთაგან ერთი სურამელ ფეოდალთა საგვარეულო სახლს და მეორე სურამში არსებულ ეკლესია-მონასტრებს და წარსულში მოღვაწე სასულიერო პირებს ეხებოდა. ამ პერიოდში, ისტორიულ წყაროებზე მუშაობის დროს აღმოვაჩინე უამრავი ინფორმაცია სურამელი ებრაელების შესახებ და მივიჩნიე, რომ საზოგადოებას სურამის ეს მნიშვნელოვანი მხარე დააინტერესებდა. იმ ფონზე, როცა ამ მიმართულებით, ფაქტობრივად, კვლევა არ არსებობდა, ვეცადე, მოკრძალებული წვლილი შემეტანა სურამელი ებრაელების ისტორიის კვლევის საქმეში.

– როგორ ფიქრობთ, სადამდე შემოინახება ქართულ-ებრაული ურთიერთობები და, თუნდაც, ქართული ენა ისრაელში?

– ჩემს წიგნში ერთი, ძალიან საინტერესო წერილის ისტორიაა შეტანილი, რომელიც ისრაელში მცხოვრები, სურამელი ებრაელის სურამისადმი ემოციურ დამოკიდებულებას შეეხება. მე შევსწრებივარ ისრაელიდან ჩამოსული სურამელი ებრაელების სევდიან და იმედიან საუბრებს ქართულ-ებრაული ურთიერთობების შესახებ. ქართველი და ებრაელი ერი ისტორიის და ტრადიციების პატივისცემით გამოირჩევა, უკვე დიდი ხანია. ეს და სხვა, უამრავი შემთხვევა იმედის მომცემია, რომ ქართულ-ებრაული ურთიერთობები კიდევ არაერთ ათასწლეულს გაუძლებს.

– პროფესიისა და პროფილის არჩევაში ვინმეს თუ მიუძღვის როლი, თუ საკუთარი არჩევანია?

– ისტორიკოსობა ჩემი და ჩემი მასწავლებლის – ლელა ქოთუაშვილის ერთობლივი გადაწყვეტილებაა, რასაც სიხარულით ვიხსენებ. პროფილზე ბევრი არ მიფიქრია, მამაჩემი პროფესიული სასწავლებლის მასწავლებელი იყო და ჩვენს ოჯახში მსჯელობის თემები, ძირითადად, პედაგოგიურ სფეროს შეეხებოდა, რამაც განაპირობა ჩემი არჩევანი. ზოგადად, პროფესიისა და სფეროს არჩევანზე არ მიფიქრია, მარტივად გადავწყვიტე, ჩემს გარშემო არსებული რეალობის გამო.

– რა თვისებებს უნდა ფლობდეს სკოლის დირექტორი, რომ დღევანდელი მკვეთრად გამოხატული და თავდაჯერებული, თავისუფლად მოაზროვნე ახალგაზრდა თაობის კეთილგანწყობა მოიპოვოს?

– თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში იყო საჯარო სკოლის დირექტორი – საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა და, ამასთანავე, საუკეთესო შესაძლებლობა, გახდე საგანმანათლებლო ლიდერი. საგანმანათლებლო ლიდერი აღარ არის მხოლოდ მენეჯერი, იგი სკოლაში მიმდინარე პროცესების სათავეში მყოფი ფიგურაა. შესაბამისად, მასზე უშუალოდ არის დამოკიდებული სკოლის წარმატება. საგანმანათლებლო ლიდერმა უნდა შეძლოს, დაეხმაროს მასწავლებლებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებაში; შექმნას ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობას; 21-ე საუკუნის მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომებით შექმნას სწავლის თანაბარი შესაძლებლობები ყველა მოსწავლისთვის; ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების ეფექტურ ჩართულობას სწავლა/სწავლების პროცესში.

ასევე, მნიშვნელოვანია, საგანმანთლებლო ლიდერს შეეძლოს სკოლაში არსებული ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა. მასწავლებელს აგრძნობინო, რომ მას სხვების წარმატებაში წვლილის შეტანა შეუძლია, – ზრდის მასწავლებლის მოტივაციას, რომელიც პირდაპირპროპორციულად აისახება მისი მუშაობის ხარისხზე. თანამშრომლობამ,

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ურთიერთსწავლებამ და გუნდურმა მუშაობამ მნიშვნელოვანი გარდატეხა უნდა მოახდინოს სკოლის წარმატების გზაზე.

ახალგაზრდა თაობის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად სკოლის დირექტორი უნდა იყოს ლიდერი და არა, უბრალოდ, მენეჯერი, შემოქმედი და არა, უბრალოდ, ,,შემსრულებელი", მოტივირებული და არა ნიჰილისტი, ინოვატორი და არა მხოლოდ ტრადიციული, ღია და არა ჩაკეტილი, უნდა იყო საგანმანათლებლო ლიდერი და არა, მხოლოდ ,,იმუშაო სკოლის დირექტორად".

შეხვედრა ხურაშის კულტურის სახლში. 1989 წელი.

– რომ არა სკოლა, სხვაგან სად ხედავთ საკუთარ თავს?

– ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ ერთი შემიძლია ვთქვა, რომ განათლების სფეროს ვერ გავცდებოდი.

– ჩვენი თაობა წიგნის მოყვარული თაობა იყო... დღეს, რამდენად საგანგაშოა მდგომარეობა ამ მხრივ და, თქვენი აზრით, მოზარდი, წიგნის გვერდის ავლით, მხოლოდ კომპიუტერიდან რამდენად მიიღებს სრულყოფილ განათლებას?

წიგნის და კომპიუტერის შედარება-შეპირისპირება არ მიმაჩნია სწორად. ორივე მათგანი არის რესურსი, განვითარდე და განავითარო. ძალიან ბევრ გაკვეთილს და სასკოლო აქტივობას დავსწრებივარ, თავადაც ჩამიტარებია, ვერ ვიხსენებ, რომელიმე ჩავარდნილიყო მოსწავლეთა ცოდნის დონის გამო. ძალიან გონიერი და მოტივირებული ბავშვები სწავლობენ ჩვენს სკოლაში, რომელთაც განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ. სწორედ, ჩვენ, უფროსებმა უნდა შევძლოთ მათთვის სწორი მიმართულების მიცემა.

– ,,ლიტერატურული ხაშურის" სტუმარს ვინ ჰყავს გამორჩეული მწერალი და საზოგადო მოღვაწე?

– დიმიტრი ყიფიანი მიყვარს და ერთგვარ პასუხისმგებლობას ვგრძნობ მის წინაშე, რათა, როგორც ხაშურის მუნიციპალიტეტის მოქალაქე, ჩემი შრომით შევეწიო ჩემს სამშობლოს.

– რაში მდგომარეობს დღევანდელი თაობის „სიტყვის თავისუფლებისა" და ჩვენი თაობის „აკრძალვების" დადებითი და უარყოფითი მხარე?

ქბრიელთა დელეგაცია ხურაშში. 1989 წელი.

– თავისუფლება ყველას მოგვწონს და გვინდა. სამწუხაროდ, თავისუფლების მანტიით შეიმოსა ბევრი ისეთი რეალობა, რომელიც ჩემთვის თავისუფლება არა არის. ჩემი აზრით, თავისუფლება საკუთარი თავის ფლობაა და არა ,,ყველაფრის კეთება და თქმა". ამავე დროს, საკუთარ თავს სულ ვეკითხები: ჩემი შეხედულებები ხომ არ არის ჩემი ბავშვობის დროინდელი აკრძალვების ბრალი? თუ თქვენი გაზეთის მკითხველი აღმოაჩენს, რომ ასეა, სიამოვნებით მივიღებ კონსტრუქციულ უკუკავშირს.

– მორისი – მოქალაქე, დირექტორი და მამა.

– როცა მთხოვენ, საკუთარი თავი წარვადგინო – ყოველთვის ჩემი ოჯახით ვიწყებ. რომ არა მათი თანადგომა, ბევრი რამ გამიჭირდებოდა. სკოლის დირექტორს უამრავი საქმე აქვს, რომლის გამოც, ხშირად გვიანობამდე მუშაობა მიწევს. ამ დროს მშვიდად ვარ, ვიცი, ჩემი მეუღლე ჩემს ოჯახს და ჩემს შვილებს დემეტრეს, ერეკლეს და ანას ყურადღებას არ მოაკლებს. დაღლილობის განცდა ჯერ არ მიგრძვნია. დასმულ კითხვაში ნახსენები სფეროების აქტიური შემადგენელი ნაწილი ვარ და მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანმა საკუთარი ქვეყნისთვის შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოიყენოს. ვცდილობ, ჩემი შეხედულებები საქმედ ვაქციო. უკან მოხედვის არ მრცხვენია და მინდა, ისე ვიცხოვრო, რომ არც ჩემს შვილებს შერცხვეთ ჩემ მიერ განვლილი გზის.

– რა იქნება ხვალ?

– საქართველოს ისტორიიდან ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი მიტრიალებს ხშირად გონებაში: დაახლოებით 400 წელი თბილისს საქართველო ვერ აკონტროლებდა, მაგრამ ისტორიული სამართლიანობა მაინც აღდგა და, 1122 წელს, თბილისი მტრებისგან გათავისუფლდა. ამ სამართლიანობის აღდგენას საუკუნეები დასჭირდა... დღეს, როცა სამყაროში მოვლენები სწრაფად ვითარდება, მჯერა, რომ უწინდელივით, საუკუნეები არ დასჭირდება ჩვენი ქვეყნის გაერთიანებას და ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას დედასამშობლოსთვის.

ხვალ უკეთესი თაობა შეგვცვლის!

ხვალ ძლიერი საქართველო გვექნება!

– ღმერთმა გვისმინოს!

P. S. ,,ლიტერატურული ხაშური" მორის დანდურიშვილს ულოცავს დაბადების დღეს და წარმატებებს უსურვებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ესაუბრა **ეკა ბაქრაძე**

ლიტერატურული კონკურსი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში. საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა, მეორე კონვერტით – ავტორის ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოსა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დაწესებულია პრემიები:

ორი პირველი პრემია – 1500-1500 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისა და შპს „ნიალისაგან";

მეორე პრემია – 700 ლარი – შპს „ნიალისაგან";

სამი მესამე პრემია – 500-500 ლარი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტისა და შპს „ნიალისაგან";

იმის გამო, რომ რესპუბლიკის მოსწავლე-ახალგაზრდობაში გაიზარდოს პოეზიისადმი ინტერესი, წელს, პირველად, მათთვის, დაწესებულია სამი წამახალისებელი პრემია:

პირველი პრემია – 500 ლარი;

მეორე პრემია – 400 ლარი;

მესამე პრემია – 300 ლარი.

სამივე პრემია დაწესებულია შპს „ნიალისაგან".

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა მოსწავლეს, გარდა დამამთავრებელი (მე-12) კლასისა.

გამარჯვებულების საზეიმო წარდგინება მოხდება სოფელ რუსთავში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე – შოთაობაზე", ხოლო დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამა წლის ოქტომბერში.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ნაბეჭდი ფორმით, არაუმეტეს 5 ლექსისა. ხელნაწერი არ მიიღება.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2019 წლის 1 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ.3.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის" რედაქცია.

საკონტაქტო ტელ. 5 99 97 95 24

ბავშვებისთვის

ზეგული ცუკულაძეილი

ბავშვური გასართობები

არ მეგულება ერთი მოზარდიც კი, რომელსაც თავის დროზე ბავშვური სისულელე არ ჩაედინოს. რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც მე გახლდით და მინდა, რამდენიმე მათგანზე გავამახვილო ყურადღება.

გზას, რომელიც ვანსა და ქუთაისს აკავშირებდა, ,,დიდშარათი" მოვიხსენიებდით. სოფლის შიდა გზებთან შედარებით, ეს გზა, მართლაც, დიდი იყო. ცხადია, სახელიც ამით უნდა ავხსნათ. დიდი გზის გადაღმა და გადმოღმა მხარეს სიმინდი ეთესა მაშინდელ კოლმეურნეობას. სიმინდებში რამდენიმე ძირი კაკლის ხეც იდგა. დანამდვილებით ვერ გეტყვით, დარგო ვინმემ, თუ თავისით ამოვიდა. აღნიშნულ ადგილებში ლელი იყო მოდებული, რომელსაც, ხან ხელით, ხან ნამგლით ვთიბავდით ბავშვები, მივუყრიდით დაბმულ პირუტყვს და ამის შემდეგ, საათობით შეგვეძლო, გვეთამაშა.

ერთხელ, თამაშისას, ჩვენ შორის ყველაზე უფროსს აზრად ასეთი რამ მოუვიდა: მოდი, შარვალი, პერანგი, მზის ქუდი ქვებით ამოვავსოთ, გზისპირას დავაგდოთ, ვითომ კაცია და კაკლის ხიდან ვუცქიროთ, თუ როგორი რეაქცია ექნება მისი დანახვისას მძღოლსო! როგორც ითქვა, ყველაფერი ისე გავაკეთეთ და ახლა, კაკლის ხის ტოტებზე ახუნძლულები, გზას გავცქეროდით. ,,დიდშარა" იმიტომ იყო დიდი, რომ მანქანები დიდხანს არ გალოდინებდნენ.

სულ მალე გამოიარა ქუთაისისკენ მიმავალმა თვითმცლელმა, რომელშიც მხოლოდ მძღოლი იჯდა. ჯერ სვლა შეანელა მძღოლმა, მერე გააჩერა მანქანა, გადმოვიდა და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა. ჩვენი ნამოქმედარი, მართლა, ძალიან ჰგავდა წაქცეულ კაცს! მძღოლს ჯერ ჩაეცინა, შემდეგ კი ლაზათიანად შეგვიკურთხა (მისი სახის გამომეტყველებით მივხვდით ამას) და სწრაფი მოძრაობით ქვებისგან გაათავისუფლა ტანსაცმელი. რატომღაც, ცალ ხელში მოიქცია ყველაფერი და მანქანისაკენ გასწია. ყველანი ერთდროულად დავიძაბეთ. განსაკუთრებით კი, ტანსაცმლის პატრონი, (ამ იდეის ავტორი) რომელიც საცვლების ამარა იჯდა კაკლის გადმოშვერილ ტოტზე. ჩვენმა მეგობარმა, ეტყობა, სახლში დატუქსვისა შეეშინდა და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ნაუცბათევად: ხიდან ჩამოვიდა და მძღოლს გაედევნა მუდარით: ძია, გთხოვ, დამიბრუნო ტანსაცმელი, მეტს აღარ ვიზამთო! ჩვენც გამოვძვერით (უფრო სწორად — ჩამოვძვერით) სამალავიდან და, თანაგრძნობის მიზნით, უკან ავედევნეთ განსაცდელში მყოფ მეგობარს. მძღოლი მიუახლოვდა მანქანას და სწრაფი მოძრაობით ტანსაცმელი მანქანის ძარაზე შეყარა. შემდეგ მანქანის კაბინაში მოთავსდა და მანქანაც დასძრა. არ გასულა წუთიც და მძღოლმა მანქანა გააჩერა, უკუსვლით მოვიდა ჩვენამდე და ტანსაცმლის პატრონს უთხრა: ახტი ძარაზე და გადმოყარე, რაც შენიაო.ბიჭს შეეშინდა, მახეს არაფერს მიგებდესო და ფეხიც არ მოუცვლია ადგილიდან.

– ჩქარა! – დასჭექა მძღოლმა, – ვიდრე გადამიფიქრებია! მხოლოდ ამის შემდეგ გაბედა ჩვენმა მეგობარმა მანქანის ძარაზე ასვლა. სიხარულისგან ტაში შემოვცხეთ, რომლითაც მეგობარსაც ვამხნევებდით და მძღოლსაც მადლობას ვუხდიდით. ბავშვები კი ვიყავით, მაგრამ ეს, სულაც არ გვიშლიდა ხელს იმის მიხვედრაში, რომ ძალიან ცუდად მოვიქეცით. ხომ შეიძლებოდა, მძღოლს ჩვენი "ნამაიმუნარის" დანახვაზე კონცენტრირება ვერ მოეხდინა და გაუთვალისწინებელი რამ მომხდარიყო! მადლობა უფალს, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა! სახლში ამის შესახებ არაფერი გვითქვამს... ასე ვიყავით შეთანხმებულნი.

ჭალის პირას, პატარა ბოგირთან, იქ, სადაც სოფლის აღმართი იწყება, არის ჩაღრმავებული ადგილი, რომელსაც ბავშვები (დიდებიც) ,,აკოფს" ვეძახდით. ღელის მარცხენა მხარეს იყო ეს სანგარი, თანაც ორი. ერთ-ერთში, ნაწვიმარზე სირბილი და გზის დატკეპნა გვიყვარდა ბავშვებს, მეორე სანგარში კი, ობობებს ვიჭერდით და ბოთლებში ვათავსებდით. ორივე სანგარი აყალო მიწის მოპოვების გამო იყო ჩაღრმავებული. დასავლეთ საქართველოში ქვევრებს (ჭურებს) ხომ აყალო მიწით გლესავენ, ქვევრის როგოს ზემოდან აყალო მიწას დააყრიან, მერე ხის ულოთი გააბრტყელებენ. ქვევრის მოხდისას კი, სპეციალურ ხის ბარს ხმარობენ, ქვევრის თავი რომ არ ჩატყდეს. ახლა იმის შესახებ გიამბობთ, თუ რაში გვჭირდებოდა ობობები, რისთვის ვიჭერდით ასეთი მონდომებით:

ბავშვური ლოგიკით, ვითომ ეს ობობები ჩვენი ,,მტრები" იყო, რომლებიც უნდა დაგვეჭირა და ,,საკანში", (ბოთლში) ჩაგვესვა. ,,მტრის" განადგურებაზე კი, ჩვენს ,,ჯარს" – ქათმებს უნდა ეზრუნათ. ქათმების, იგივე ჩვენი ,,ჯარის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქმეს კარგად ართმევდნენ თავს. წამში შეეძლოთ, ასობით ,,მტრისთვის" გაევლოთ მუსრი! არ მახსენდება შემთხვევა, ჩვენთვის ობობას ეკბინოს, გარდა იმ ერთისა: ერთ მშვენიერ დღეს, საკმაოდ ბევრი ,,მტერი" შევიპყარით და, ის იყო, სახლში ვაპირებდით წამოსვლას, რომ ერთი მოზრდილი ობობა შევამჩნიე. ზუსტად ისეთი ფერი ჰქონდა, როგორი ფერიც აქვს აყალო მიწას. ის იყო, ,,მტერს" ხელი ვტაცე და ბოთლში უნდა მეკრა თავი, რომ თითზე ნემსის ჩხვლეტისმაგვარი ტკივილი ვიგრძენი. მალე თითმა შესიება დაიწყო. რა თქმა უნდა, შემეშინდა, მაგრამ ისე არა, რომ ობობებით სავსე ბოთლი იქვე დამეტოვებინა. ჯერ ქათმებს მივუყვანე ჩემი ნადავლი, შემდეგ კი დედაჩემს ვუთხარი, რაც შემემთხვა. დედამ ხელები თბილი წყლითა და საპნით დამბანა, შემდეგ სპირტიანი ბამბით დამიმუშავა და შემიხვია. მგონი, რაღაც აბი დამალევინა (ალბათ, ,,სუპრასტინი") და იმით დამსაჯა, რომ ტახტზე წამოწოლა (დასვენება) მაიძულა. რაც შეეხება შესიებულ თითს, მალე დამიცხრა, მაგრამ რად გინდა, – ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ. ისევ ვაგრძელებდით ,,მტრის" დატყვევებას. მომწონდა იმის ცქერა, თუ როგორ სწრაფად ავლებდა ,,მტერს" მუსრს ჩვენი ,,ჯარი"!

კატა გვყავდა, რომელსაც ,,ბოხვერას" ვეძახდით. გაძლიერებულ კვებაზე მყავდა ჩვენი ფისო, არც თევზებს იწუნებდა და არც კიბორჩხალებს. მეც გულუხვად ვუზიდავდი ბოხვერას წყლის ნობათს. ყველაფერ ამას დაუმატეთ თაგვები, რომელსაც საკუთარი შრომით მოიპოვებდა. ბოხვერა ნამდვილ მხეცს ემსგავსებოდა მაშინ, როცა ხსენებულ ნობათს დავუყრიდი. ხომ ძალიან ვუყვარდი ჩემს ბოხვერას, მაგრამ საკმარისი იყო ერთი ზედმეტი მოძრაობა, როცა სასუსნავს მიირთმევდა, რომ არ დავენდე.

,,დიდშარაზე", (ქუთაისი-ვანის გზა) ბოგირთან ვჭყუმპალაობდით ბავშვები. ძროხებს საკმარისი ბალახი მივუყარეთ და წყალში ჩვენთვის ვერთობოდით. სწორედ ამ დროს, ღია მანქანა გადაადგილდებოდა რაიონის მიმართულებით. მანქანის ძარაზე ორი თუ სამი კაცი იდგა. ერთ-ერთმა თევზი ისროლა ბავშვების მიმართულებით, რომელმაც ჩემს ფეხებთან მოადინა ტყაპანი. სავარაუდოდ, თევზი, (დაახლოებით, ოთხას გრამამდე) ერთ დროს, გაყინული უნდა ყოფილიყო. მანქანით ტრანსპორტირებისას გადმოუვარდათ, ალბათ, ყუთიდან და... ასე გახდა სადღაც, ოკეანეში დაჭერილი თევზი ჩემი ბოხვერას ლუკმა. (რადგან, მანქანიდან ნასროლი თევზი ჩემს ფეხებთან დაეცა – მე მარგუნეს).

ერთხელაც, მე და ჩემმა თანატოლმა გოგომ კაკლის ხეზე ყვავის ბუდე შევამჩნიეთ. რა თქმა უნდა, უმალ ხეზე ავძვერით და სამტყუპა კაკლის ტოტებში მოქცეული ბუდე ახლოდან დავათვალიერეთ. ჩვენს დანახვაზე ბახალებმა უფრო დააღეს პირი. სამნი იყვნენ და სამივეს ნისკარტის გაყოლებაზე ყვითელი ხაზი გასდევდა, რაც, კიდევ უფრო სასაცილოებს ხდიდა მათ, პირის დაფჩენისას! ყვავის ბახალები უბეში ჩავისვით და ძირს ჩამოვიყვანეთ. სიმინდის მარცვალი დავამტვრიეთ და სათითაოდ ჩავჩარეთ გაღებულ პირში. ამის შემდეგ ვაბანავეთ ბახალები და ისევ ბუდეში დავაბრუნეთ. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ერთ დღეს მეზობლის კაცმა შეგვამჩნია, რომელსაც საფქვავი მიჰქონდა წისქვილში. მეზობელმა საკმაოდ სამართლიანად დაგვტუქსა: არ სჭირდება მაგათ თქვენი ჭმევა და დაბანა, ხელში ჩაგაკვდებათ და დედამისი დაგწყევლითო! – ნათქვამმა იმდენად დაგვაფიქრა, რომ მსგავსი რამ აღარასოდეს ჩაგვიდენია. თუმცა, უნდა გამოვტყდე, რომ ამის სურვილი ბევრჯერ გამჩენია.

დაწყევლაზე გამახსენდა: ჩვენთვის, ბავშვებისთვის გასაგები იყო, რომ მერცხლის ბუდეს არ უნდა შევხებოდით. ისინი ჩვენს სანახავად მოიჩქაროდნენ, რადგან ვუყვარდით. ჩვენც იგივე გრძნობით უნდა გვეპასუხა და, არავითარ შემთხვევაში, არ უნდა დაგვენგრია მათთვის ბუდე, თორემ დაგვწყევლიდნენ. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ, ბევრს ვსცოდავდით ბავშვები. აბა რას ვერჩოდით, თუნდაც, ობობებს, კიბორჩხალებს, ლიფსიტებს, ბაყაყებსაც კი!

რასაც ახლა ვიტყვი, შეიძლება, სულაც არ გვამართლებს, მაგრამ მაინც, ზემოთთქმული ოინბაზობები გახლდათ ჩვენთვის, შეიძლება ითქვას, ერთადერთი გასართობი!..

პოეზია

ლაშა ლომიძე დაიბადა 1991 წელს, ქ. ხაშურში. სწავლობდა ხაშურის №6 საჯარო სკოლაში. დაამთავრა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. არის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

* * *

ქარი ღრიალით გამოენთება ფოთლებს,
ხომ იცი, დალაქს თმის შეცოდება აქ აქვს,
გახუჭუჭებულ ხის კენწეროებს მოტვლეპს,
გადააქაჩლებს ოქროსქოჩრიან ქალაქს.
დრო იპარავს და აღარ აბრუნებს ნაპარს,
მოვა, მოჰყვება ხმლის ძაღლის კუდად ქიცინს,
მომენატრება ამხედრებული პაპა
და ცხენის კვალში გაჭენებული კვიცი.

* * *

ჩვენ და მონინება სარკმლის სიახლოვეს ვსხდებით,
მედგარ მორიდებას მიდგა, დიალოგი ამსხვრევს.
გული, განყობილი ცოტა უცნაური მსხლებით, –
აბა, თუ მივხვდე და გემო გავუსინჯო ამ მსხლებს...
აქვე სამოსია, სანოლს ნანოლილი ნალმა,
ტანი აღმართული, ბაგით მოსავლელი, ხალ–ხალ,
ისე მოგაშტერდი, როგორც მონადირე ძაღლმა
ნახა ბალახების ჩრდილში მონებივრე ღალღა.
ვერ ვართ თავისუფლად, თავი ვერ ვიგრძენით ცალკე,
თვალებს დააცეცებ, თითქოს მორიდებას ნერ და...
აქვე, კედელზეა სარკმლის ამსახველი სარკე,
აქვე, ნინდებია, ცალი – დახეული ცერთან.
ჩვენ და მონინება, სარკმლის სიახლოვეს ვსხდებით,
მედგარ მორიდებას მიდგა, დიალოგი ამსხვრევს.
გული – განყობილი ცოტა უცნაური მსხლებით,
ვდგები იმ ჯაჭვზე, გემო გავუსინჯო ამ მსხლებს.

მანანწალა

არ ჰგავდა ქალაქის ბინადრებს,
შორიდან მეცხვარეს ვეჯვობდი,
მიდის და ტომარას მიათრევს
ნაგაზის ლეკვივით, ქეჩოთი.
რამდენი წელია, აქ არი,
მიმოდის ბახუსის ნაკვთებით,
ხელებში – ვაშლები ნაქარი, –
ტალახში ორი დღის ნაგდები.
დარჩენილ თვეებსაც აქ დანერს,
აქ დანერს ცხოვრების ბოლო ტომს,
დადის და ურნების ახდაზე
მსუბუქი ნაბიჯით ბოროტობს.

* * *

მოსასხამი საღორის სუნს აკმევს,
ისმის ქშენა ბურვაკის და ნეზვის,
პაპა აკრავს, სათითაოდ, ყაკნებს
ყურის ძირში, როგორც საღეჯ რეზინს.
გასროლიდან გაურკვევლად მსჯელობს,
ჰგავს არმიას ჩამორჩენილ ჰუსარს,
ღორს მოეჯდო ისე, როგორც ჩელოს
და, ხემივით, დანას ყელში უსვამს.
ეზოს ქარი შიშველ მაჯებს ბურძგლავს
და შხეფები კალმახივით რთავენ.
ვეებერთელა კალათბურთის ბურთს ჰგავს
ჩემს მკლავებში ჩაგდებული თავი.

* * *

რა ლამაზია ვრცელ მინდორზე მატყლის ხალიჩა,
ხის კენწეროზე შემომჯდარი ქორი, გვირგვინად
როცა შარაზე ნაბლისფერი დიდი ხარი ჩანს
და იცი, გვერდს რომ ვერ აუვლი, თუ არ გირქინა.
ურმის ჭრიალში დამტვერილი მნიფე ადესა,
ნისქვილში ტომრით მიტანილი ცრემლი თავთავთა.
ახლა, მამალი აღარ ყივის განთიადისას
და საკვამურით სახლის სუნთქვა უკვე დამთავრდა...
მოკვდა სოფელი!.. მიაშურა ხალხმა ქალაქებს,
ბუხრის კუთხესთან სიტყვას სიტყვა ველარ ერითმა,
ელის ფანდური სიმღერებით მოლაპარაკეს
და თითებს ელის ამ ფანდურის სამი ღერი თმა.

* * *

მეგობრებთან დაკარგული წლები
და ცხოვრება გამოვლილი ცერად...
აღარ მინდა აღარც მიმოსვლები,
აღარ მინდა აღარც მიმონერა.
მიხარია, მარტოსული დავრჩი,
ტყესთან ახლოს მივარეკე ფარა.
მეგობრები სხედან ძილბურანში,
ზოგი, სულაც, ძილში გაიპარა.
ამ ძილ–ბურანს სიყმანვილე შეჰყვა,
ღია პირში დათვს ჩაუხტა პანტა,
გემრიელად ყბებით მიმოჩეხა,
ნაფლეთები ყელში მიმოფანტა.
მეგობრებთან დაკარგული წლები
და ცხოვრება გამოვლილი ცერად.
აღარ მინდა აღარც მიმოსვლები,
აღარ მინდა აღარც მიმონერა...